ოქმი #12

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ქ. ცაგერი 28 ივლისი, 2023 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი
სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: გ. გუგავა, მ. კოპალიანი
საკრებულოს წევრები: კ. მუშკუდიანი, თ. ჭაბუკიანი, ზ. ყურაშვილი, მ. ხაბულიანი, მ. ყურაშვილი, გ. გოგებაშვილი, ნ. საღინაძე, მ. მამარდაშვილი, ნ. ბურჯალიანი, დ. მუშკუდიანი, ნ. ტვილდიანი, დ. მურცხვალაძე, გ. კოპალიანი, ა. მახარობლიძე.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: მ. ლეთოდიანი
მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი: დ. ჩაკვეტაძე

საკრებულოს აპარატის უფროსის ფუნქციების შემსრულებელი: მ. თოდიძე
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: ნ. მეგრელი

დღის წესრიგი

დადგენილებები:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ.ზალკალიანი, მ.ლეთოდიანი/

2. „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარებების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, დ. ჩაკვეტაძე/

გადაწყდა, რომ სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებზე კენჭისყრა მოეწყოს ღიად:

/საკრებულოს სხდომას ესწრებოდა 18 დეპუტატი/

დღის წესრიგი

დადგენილებები:

1. „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბერის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, მ. ლეთოდიანი/

მომხსენებელმა - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა მამუკა ლეთოდიანმა აღნიშნა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეექვსე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2023 წლის 10 ივლისის განკარგულება ,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“, მუნიციპალიტეტს გამოეყო არაუმეტეს 380 000 ლარი, რომელიც შემოსულობებში აისახება გრანტებში, ხოლო ხარჯებში - საგზაო ინფრასტრუქტურაში.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილება გამოწვეულია აგრეთვე იმ გარემოებით, რომ საჭიროა ბიუჯეტით ა(ა)იპ-ებისთვის დამტკიცებული ასიგნებები გადანაწილდეს სხვადასხვა პრიორიტეტებისა და პროგრამების მიხედვით.

ბიუჯეტის ცვლილების საფუძველია ასევე, ცაგერის მუნიციპალიტეტსა და სს ,,ენერგო-პრო ჯორჯია“-ს შორის გაფორმებული შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის მიერ სოფელ ალპანაში საცურაო აუზის და მისი წყალმომარაგების სისტემის მოწყობას, რისთვისაც სს ,,ენერგო-პროჯორჯიამ“ გამოყო 51847 ლარი. ამვე ხელშეკრულების ფარგლებში ჩაირიცხა 15106 ლარი, რომელიც შემოსავლებში აისახება ნებაყოფილობით ტრანსფერში გრანტების გარეშე, ხოლო ხარჯებში - კეთილმოწყობის ღონისძიებებში.

აზრი გამოთქვეს: ა. მახარობლიძემ, კ. მუშკუდიანმა, ჭ. ჭაბუკიანმა

აღნიშნული დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 16-მა დეპუტატმა

დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)

მომხრე: 16

წინააღმდეგი: 0

2. შეტანის „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, დ. ჩაკვეტაძე/

მომხსენებელმა - მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა დავით ჩაკვეტაძემ განმარტა, რომ „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 იანვრის №1 დადგენილებაში ასახულია შემდეგი ცვლილება - მე-8[1] მუხლის **,,განსაკუთრებით ძვირადღირებული გამოკვლევებისა და ოპერაციების თანადაფინანსება, რომელიც აღემატება 5000 ლარს“** მეორე პუნქტს დაემატოს ,,ი“ ქვეპუნქტი - ,,ძვირადღირებული ქიმიო და იმუნოთერაპიის დაფნანსება“.

აზრი გამოთქვეს: მ. ყურაშვილმა, მ. კოპალიანმა, ჭ. ჭაბუკიანმა
აღნიშნული დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 17-მა დეპუტატმა
დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 17
წინააღმდეგი: 0

საკრებულოს თავმჯდომარე: **ჭაბუკი ჭაბუკიანი**